ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №84

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „24“ „დეკემბერი“ 2019 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველადოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურპირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არარის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთისმხრივ **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მინისტრის **კონსტანტინე კუჭუხიძის** სახით
(შემსყიდველისდასახელება და რეკვიზიტები)

ს/კ 249259582. თბილისი ვაჟა-ფშაველას ვაჟა-ფშაველას გამზირი № 16 მე-7სართული; ხაზინისერთიანიანგარიშიბანკისკოდი*TRESGE22* . ტელეფონი 2313164 2374478 599855310

და მეორესმხრივ***ფ/პ მანანა ჯიქია , ს/კ 42001015750, მისამართი- ქ. ფოთი ფარნავაზ მეფის №1/50***

ბანკი:***თიბისი ბანკი , ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE02TB7878936010100004*** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

(მიმწოდებლისდასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს -

79100000 - იურიდიულიმომსახურებები

79132000 - დოკუმენტების დამოწმებასთან დაკავშირებული მომსახურებები

შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (კანონისმე-10 1 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე).

4. ხელშეკრულები სღირებულება

4.1. გასაწევიმომსახურების საერთოღირებულებაშეადგენს **447.36 (ოთხას ორმოცდა შვიდი ლარი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილიშესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულისფასიდა რაოდენობა :

4.3.მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ***მისამართი- ქ. ფოთი ფარნავაზ მეფის №1/50*** **5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურეობის უზრუნველყოფაზე

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

5.3.შემსყიდველიარაგებსპასუხსმიმწოდებლისმიერმესამეპირებისათვისმიყენებულზიანზეანზარალზე.
5.4.შემსყიდველიარაგებსპასუხსმიმწოდებლისმიერმესამეპირისმიმართნაკისრვალდებულებებზე.
5.5.მიმწოდებელიარაგებსპასუხსშემსყიდველისმიერმესამეპირისმიმართნაკისრვალდებულებებზე.

6. მომსახურებისმიღება-ჩაბარებისწესი

საქონლიმიწოდებულად (მომსახურებაგაწეულად) ჩაითვლებაშესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ

მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა. რ. დევნილთასაქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე
(მაკონტროლებელიორგანო)
შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯგუფის უფროსი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ავთანდილ ჩიჩუა.
(პიროვნებებისსახელი, გვარი)

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებულისაქონელი (გაწეული მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მაღალ ხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია უზრუნველყოს ნივთზე აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრა ხელშეკრულებაზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შეთანხმებული პროდუქციის მიწოდებიდან და მხარეთა შორის შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში:
9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). ადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
9.4 **წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში** შემსყიდველის მიერ მოთხვნილი უნდა იქნეს (მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს) წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

ხელშეკრულების არცერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, ხელშეკრულების თითოეულმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს მეორე მხარეს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1% ოდენობით.
15.2 შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% ოდენობით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე მისთვის დამატებით დაწესებულ ვადაშიც არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს.მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილით გათვალისწინებული წესით.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან დამოქმედებს 31.12.2019 წ
(რიცხვი, თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულებაშედგენილიაქართულენაზე 2 ეგზემპლარად და ორივესაქვსთანაბარიიურიდიულიძალა.

შემსყიდველიორგანიზაცია:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა

დევნილთა სამინისტრო

კონსტანტინე კუჭუხიძე

მიმწოდებელი:

ფ/პ მანანა ჯიქია